ალატირის ეპარქიაში პირველი ერთსარწმუნოების ეპისკოპოსის მღვდელმოწამე სვიმონის (შლეევი) ხსენების დღეები ჩატარდა



ალატირისა და პორეცკის ეპისკოპოს თეოდორეს ლოცვა-კურთხევით, ალატირის ეპარქიაში პირველი ერთსარწმუნოების (единоверческого) ეპისკოპოსის, მღვდელმოწამე სვიმონის (შლეევი) ხსენების დღეები ჩატარდა.

2021 წლის 30 აგვისტოს, ქ. ალატირის იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის სახელობის ტაძართან მდებარე სასულიერო-საგანმანათლებლო ცენტრში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ერთი რწმენითა და ერთი სულით“ გაიმართა, რომელიც რუსი მოაზროვნის, მისიონერის, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალმოწამისა და აღმსარებლის, ოხტენსკის, შემდეგ - უფის ერთსარწმუნოების ეპისკოპოსის სვიმონის (შლეევი) გარდაცვალების 100 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციამ შეკრიბა მსმენელთა დიდი რაოდენობა, რომლებმაც ამ ადგილების ადგილობრივი მკვიდრის, მეუფე სვიმონის პიროვნების მნიშვნელობის შესახებ და, ასევე, ეკლესიის ერთობის პრობლემებზე მიძღვნილი მოხსენებები წარადგინეს. ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის ლოცვა-კურთხევით, ძველმესტილეების სამრევლოების საქმეებისა და ძველემესტილეობასთან ურიერთმოქმედების კომისიის მდივანი დეკანოზი იოანე მიროლიუბოვი მოხსენებით გამოვიდა თემაზე: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ძველმესტილეების (ერთსარწმუნოების) სამრევლოთა თანამედროვე მდგომარეობა“. კონფერენციის დასრულების შემდეგ, ქ. ალატირის წმინდა სამების სახელობის მამათა მონასტერში სტუმრებისთვის ექსკურსია გაიმართა.

31 აგვისტოს, წმინდა სვიმონის სამშობლოში, სოფელ იავლეიში, რომელიც ქალაქ ალატირთან ახლოს მდებარეობს, წმინდა სამების მშენებარე ტაძარში, მღვდელმოწამე სვიმონისადმი ძველი წეს-განგებით პარაკლისი და მისი ნათესავებისათვის პანაშვიდი გადაიხადეს. ღვთისმსახურება აღასრულა ალტირისა და პორეცკის ეპისკოპოსმა თეოდორემ, რომელსაც თანამსახურებდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთსარწმუნოების სასულიერო პირები რამდენიმე ეპარქიიდან და ადგილობრივი კლირიკოსებიდან.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

ალატირის ეპარქიის პრეს-სამსახურის ფოტო

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87951/